Global Forum on
Youth, Peace and Security

ამანის დეკლარაცია

ახალგაზრდებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე

დეკლარაცია ოფიციალურად არის მიღებული ამანში,
იორდანიაში, 2015 წლის 22 აგვისტოს

ჩვენ, ახალგაზრდები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, შევიკრიბეთ ამანში, იორდანიაში, 2015 წლის 21-22 აგვისტოს, გლობალურ ფორუმზე, რომელიც ეხება ახალგაზრდებს, მშვიდობასა და უსაფრთხოებას. ჩვენ გამოვხატავთ მზადყოფნას, ვიცხოვროთ მშვიდობიან მსოფლიო საზოგადოებაში. დღეს, დედამიწაზე ახალგაზრდების უპრეცედენტო რაოდენობის გამო, სტაბილურობისა და უსაფრთხოების დამყარების საქმეში ჩვენი ჩართულობა დემოგრაფიული აუცილებლობაა.

ჩვენ გამოვხატავთ მადლიერებას მისი აღმატებულების, პრინც ალ ჰუსეინ ბინ აბდულა მეორეს მიმართ, მისი ძალისხმევისა და ლიდერობისთვის. ასევე, მადლობას ვუხდით იორდანიის ჰაშემიტურ სამეფოს, გლობალური ფორუმის მასპინძლობისთვის და სურვილისთვის, მომავალშიც გააგრძელოს საუბრები ახალგაზრდობაზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე.

ამ დეკლარაციით წარმოვადგენთ საერთო ხედვასა და გზებს პოლიტიკური ჩარჩო დოკუმენტის გასაძლიერებლად, რათა მან ხელი შეგვიწყოს კონფლიქტის ტრანსფორმირებაში, ძალადობის თავიდან აცილებასა და მის წინააღმდეგ ბრძოლაში, მდგრადი მშვიდობის აღმშენებლობაში.

ეს დეკლარაცია შემუშავებულია ახალგაზრდების მიერ და წარმოადგენს ჩართულობითი და ინტეგრირებული მიდგომის უზრუნველსაყოფად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდებთან გამართული ფართო საკონსულტაციო პროცესის შედეგს. ამასთან დაკავშირებით ჩვენ:

დეკლარაციას ვაგებთ გაერთიანებული ერების ქარტიის პრინციპებზე და ვაღიარებთ, რომ უსაფრთხოების საბჭოს მთავარი მოვალეობა, ქარტიის მიხედვით, არის საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება;

აღვნიშნავთ პოსტ-2015 განვითარების დღის წესრიგში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული მდგრადი განვითარების მე-16 მიზნის განხორციელებაში ახალგაზრდების როლის აღიარებისა და მხარდაჭერის საჭიროებას.

შეგახსენებთ მშვიდობის აღმშენებლობაში ახალგაზრდების მონაწილეობის სახელმძღვანელო პრინციპების მნიშვნელობას ისეთი საფუძვლის შექმნაში, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდების მონაწილეობასა და წვლილს მშვიდობის აღმშენებლობაში, მათ შორის კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში.

ვაცნობიერებთ, რომ ჩვენ, ახალგაზრდები, ჩართულები ვართ ჩვენს თემში მყარი მშვიდობიანი გარემოს ფორმირებაში, როგორც მშვიდობის, სამართლიანობისა და შერიგების პოზიტიური ხელშემწყობები.
ვაღიარებთ ეროვნული და საერთაშორისო მთავრობებისა და ორგანიზაციების მიმდინარე მუშაობას მშვიდობის აღმშენებლობაში ახალგაზრდების ჩართვის უზრუნველსაყოფად;
ვაცნობიერებთ, რომ ბევრი ახალგაზრდა წარმოადგენს მოწყვლადი საზოგადოების ნაწილს, მათ შორის ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები.

მოვუწოდებთ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, ასოციაციებს და სააგენტოებს, მათ შორის ახალგაზრდების მიერ მართულ სამოქალაქო ინიციატივებს, ითანამშრომლონ ჩვენთან, რათა უზრუნველვყოთ შემდეგი სამოქმედო გეგმების შესრულება:

1. ახალგაზრდების ჩართულობა და ლიდერობა მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში

ჩვენ, ახალგაზრდები, ვართ ჩართულები კონფლიქტის ტრანსფორმირებაში, ძალადობასთან ბრძოლასა და მშვიდობის აღმშენებლობაში. თუმცა, ჩვენი წვლილი ხშირად შეუმჩნეველი და არ აღიარებული რჩება, მონაწილეობისა და ჩართულობის ადეკვატური მექანიზმების და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებთან თანამშრომლობის შესაძლებლობების ნაკლებობის გამო. ჩვენ ვთხოვთ პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებსა და ორგანოებს, განავითარონ მნიშვნელოვანი მექანიზმები გადაწყვეტილების მიღებასა და პოლიტიკის შექმნაში ახალგაზრდების ჩართულობისათვის ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. ჩვენ ასევე ხელი უნდა შევუწყოთ ახალგაზრდების ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარებას, ურთიერთდამოკიდებული კეთილშობილური წრის შექმნას, რათა ახალგაზრდების მიმართ არსებული ნეგატიური აღქმები და მსჯელობა შეიცვალოს და მოხდეს მათი, როგორც პარტნიორების აღქმა მშვიდობიან და მდგრად საზოგადოებათა აღმშენებლობაში.

- გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 2017 წლისთვის უნდა შეიმუშაოს **გლობალური პოლიტიკის სამუშაო ჩარჩო**, რომელიც აღიარებს და გამოეხმაურება კონფლიქტურ და პოსტ კონფლიქტურ სიტუაციებში ახალგაზრდების სპეციალურ საჭიროებებს, აქტივებს, პოტენციალსა და მრავალფეროვან იდენტობას. . გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუცია ახალგაზრდებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე წარმოადგენს ყველაზე შესაბამის ვარიანტს ახალგაზრდების როლის აღიარებისა და მათი მონაწილეობის ინსტიტუციონალიზებისათვის ყველა დონეზე.. ჩვენ მოვუწოდებთ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს, მიიღოს რეზოლუცია ახალგაზრდებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე.

- საერთაშორისო სააგენტოებმა, ეროვნულმა მთავრობებმა და ადგილობრივმა ხელისუფლებებმა სასწრაფოდ უნდა გამართონ **დიალოგის პროცესი** ახალგაზრდებთან მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე. ეს პროცესი უნდა გასცდეს სიმბოლური კონსულტაციის ფორმატს.
- საერთაშორისო სააგენტოებმა, ეროვნულმა მთავრობებმა და ადგილობრივმა ხელისუფლებებმა უნდა შექმნან ადგილობრივ და საერთაშირისო დონეზე, მიმდინარე და მომავალ **სამშვიდობო პროცესებში, მათ შორის ოფიციალურ სამშვიდობო მოლაპარაკებებში** ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ჩართულობის მექანიზმები**,** ეს მექანიზმები უნდა უზრუნველყოფდეს ახალგაზრდების, როგორც თანასწორი პარტნიორების ჩართულობასა და , ახალგაზრდების ლიდერობის ხელშეწყობას.
- საერთაშორისო სააგენტოებმა და ეროვნულმა მთავრობებმა უნდა **ითანამშრომლონ მშვიდობის აღმშენებლობაში ჩართულ, ახალგაზრდების მიერ მართულ ორგანიზაციებთან და მხარი დაუჭირონ მათ** ძირითადი აქცენტით შესაძლებლობათა განვითარებაზე.
- ეროვნულმა მთავრობებმა უნდა მოახდინონ **სპეციფიური კონტექსტის მქონე, ხარისხიანი სამშვიდობო განათლების მეინსტრიმიზაცია**, რათა მოხდეს ახალგაზრდების აღჭურვა სამოქალაქო სტრუქტურებში კონსტრუქციული ჩართულობის შესაძლებლობით;
- დონორებმა უნდა **გამოუყონ გრძელვადიანი, მდგრადი დაფინანსება და მატერიალური მხარდაჭერა** ახალგაზრდების მიერ მართულ ორგანიზაციებსა და ქსელებს, ფორმალურ და არაფორმალურ ახალგაზრდულ ჯგუფებს, ინდივიდუალურ ახალგაზრდულ ინიციატივებს. ჩვენ, ახალგაზრდები, უნდა ვიყოთ ჩართული დონორების გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებში, რათა უზრუნველვყოთ დაფინანსების ხელმისაწვდომობა, შესაბამისი ოდენობა და ხანგრძლივობა. დონორებმა უნდა იმუშაონ ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, რათა შეაფასონ, თუ რამდენად შეესაბამება დაფინანსების არსებული სტრუქტურა მშვიდობის აღმშენებლობის საკითხში ახალგაზრდების საჭიროებებს.

2. ახალგაზრდები ძალადობის თავიდან ასაცილებლად და მშვიდობის დასამყარებლად

საერთაშორისო და ადგილობრივ კონტექსტში, მსჯელობა ძალადობასა და ძალადობრივ ექსტრემიზმზე მოიაზრებს ახალგაზრდებს, როგორც პოტენციურ დამნაშავეებს ძალადობაში, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდებისა უმრავლესობა არ არის ჩართული შეიარაღებულ კონფლიქტებსა და ძალადობაში. ასეთი მიდგომა წარმოადგენს ძალადობის თავიდან აცილებასა და კონფლიქტის ტრანსფორმირებაში ახალგაზრდების როლის დაკნინებას.

- ეროვნული მთავრობები, ადგილობრივი ხელისუფლებები, კერძო სექტორი და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, მათ შორის რელიგიური ორგანიზაციები და რელიგიური ლიდერები **უნდა აღიარებდნენ და ხელს უწყობდნენ იმას, რასაც უკვე აკეთებენ ახალგაზრდები ძალადობისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის თავიდან ასაცილებლად.** ისინი უნდა დაეყრდნონ ახალგაზრდების არსებულ შესაძლებლობებს, ქსელებსა და რესურსებს საკუთარ ქვეყანასა და თემში, ისევე, როგორც საერთაშორისო დონეზე.

- ჩვენ, ახალგაზრდებმა, უნდა გავაგრძელოთ **ძალადობისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის თავიდან აცილება**. ეროვნულმა მთავრობებმა და ადგილობრივმა ხელისუფლებებმა უნდა **უზრუნველყონ ისეთი გარემოს შექმნა,** რომელშიც ახალგაზრდები იქნებიან აღიარებულნი და სათანადოდ უზრუნველყოფილნი ძალადობის თავიდან აცილების აქტივობების განსახორციელებლად. შექმნილი სივრცე თავისუფლად უნდა აძლევდეს ჩართვის საშუალებას სხვადასხვა სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, ეთნიკური და რელიგიური წარმომავლობის მქონე ახალგაზრდებს;
- საერთაშორისო სააგენტოებმა და ეროვნულმა მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ ახალგაზრდების მიერ **თავიანთი ფუნდამენტური უფლებებით სრულად სარგებლობა**, გამონაკლისების გარეშე.
- ეროვნულმა მთავრობებმა, ადგილობრივმა ხელისუფლებებმა და მკვლევარებმა უნდა უზრუნველყონ **კონტექსტუალიზებული კვლევის ახალგაზრდებთან და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ჩატარება,** რათა მოხდეს ძალადობისა და ექსტრემიზმის ხელშემწყობი ფაქტორების იდენტიფიცირება და ეფექტური საპასუხო ქმედებების შემუშავება ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

3. გენდერული თანასწორობა

გამოწვევები, რომლებიც ახალგაზრდებს მშვიდობის აღმშენებლობაში, კონფლიქტის ტრანსფორმირებასა თუ ძალადობის აღმოფხვრაში ჩართულობისას ხვდებათ, ხშირად მათ სქესზე არის დამოკიდებული. კერძოდ, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, საფრთხის ქვეშ არის დაყენებული პოლიტიკაში ახალგაზრდა ქალების მონაწილეობა. ამდენად, საჭიროა ისეთი მექანიზმების შემუშავება, რომლებიც არამხოლოდ უზრუნველყოფს გენდერთა შორის თანასწორობას, არამედ გამოეხმაურება გენდერული სპეციფიკის მქონე სირთულეებს.

- ადგილობრივმა ხელისუფლებებმა და ეროვნულმა მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ ახალგაზრდა მამაკაცებისა და ქალების **თანაბარი შესაძლებლობები და წვდომა განათლებასა და დასაქმებაზე** და შექმნან **მექანიზმები გენდერული დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად** ასეთ გარემოში**.** მათ უნდა აღიარონ, რომ კონკრეტული ჯგუფების, მაგალითად ქალების მარგინალიზაცია საზიანოა მდგრადი მშვიდობის დასამყარებლად ყველანაირ საზოგადოებაში.
- საერთაშორისო სააგენტოებმა, ეროვნულმა მთავრობებმა და დონორებმა უნდა **მოახდინონ ახალგაზრდების მიერ მართული ისეთი ორგანიზაციების იდენტიფიცირება და მხარდაჭერა**, რომლებიც გენდერული უთანასწორობის, მშვიდობის აღმშენებლობისა და კონფლიქტების გადაჭრის საკითხებში ქალების გაძლიერების მიმართულებით მუშაობენ და მხარი დაუჭირონ მათ, რადგან ისინი წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს პარტნიორებს მშვიდობის აღმშენებლობის საქმეში;
- საერთაშორისო სააგენტოებმა, ეროვნულმა მთავრობებმა და ადგილობრივმა ხელისუფლებებმა უნდა უზრუნველყონ საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება რათა **წინ წამოწიონ და დაიცვან გოგონების უფლებები, მოახდინონ გენდერზე დაფუძნებული ძალადობის პრევენცია და დაასრულოს დაუსჯელობა** ისეთი დანაშაულებრივი ქმედებებისათვის, როგორებიც არის ბავშვთა, ადრეული და იძულებითი ქორწინება, სექსუალური და ოჯახური ძალადობა, ფემიციდი და ქალების რეპროდუქციული ორგანოების

დამახინჯება. გენდერზე დაფუძნებული ძალადობა ხელს უშლის ახალგაზრდების განვითარებასა და მათ მონაწილეობას მშვიდობის აღმშენებლობის პროცესებში. გარდა ამისა, სექსუალური და გენდერზე დაფუძნებული ძალადობა დაკავშირებულია უსაფრთხოების უფრო ფართო საკითხებთან და აფერხებს მოლაპარაკებებს სამშვიდობო და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებების კუთხით.

- ადგილობრივმა ხელისუფლებებმა და ეროვნულმა მთავრობებმა 2018 წლისთვის უნდა დანერგონ **სპეციალური დროებითი ზომები, მათ შორის გადაწყვეტილების მიღების და პოლიტიკის შექმნის ყველა დონეზე გოგოებისა და ქალების მონაწილეობის მინიმალური კვოტა.** ასეთი საზომი უზრუნველყოფს ქალთა ხედვებისა და ინტერესების წარმოდგენას და პოლიტიკური გარემოდან ქალთა მუდმივ გამორიცხვასთან ეფექტურ ბრძოლას;
- მშვიდობის სფეროში მომუშავე, ახალგაზრდების მიერ მართულმა ორგანიზაციებმა უნდა გამოიჩინონ მუდმივი გენდერული სენსიტიურობა მათ ყველა ქმედებაში და ეცადონ უზრუნველყონ ჩართულობა.

4. ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება

მთელ მსოფლიოში, ჩვენ, ახალგაზრდები, ვართ არაპროპორციულად დაზარალებული შეზღუდული წვდომით სოციალურ და ეკონომიკურ შესაძლებლობებზე. დასაქმების შეზღუდული და არასათანადო შესაძლებლობები და განათლების ნაკლებობა ხელს უწყობს ეკონომიკურ იზოლაციას, პოლიტიკურ იმედგაცრუებასა და სოციალური არამდგრადობას. ყოველივე ეს ხელს უშლის სოციალურ ერთსულოვნებას და სამშვიდობო პროცესებში ჩვენი ჩართულობის შესაძლებლობას, ვინაიდან გვიზღუდავს ორგანიზებისა და მოქმედების უნარს. ეკონომიკური განვითარების გარეშე შეუძლებელია მშვიდობის მიღწევა, მშვიდობის გარეშე კი და ვერ მიიღწევა ეკონომიკური განვითარება. იმისათვის, რომ ვიყოთ მშვიდობის აღმშენებლობის აქტიური აგენტები, უნდა შეგვეძლოს დავინახოთ ჩვენი ამჟამინდელი როლი საზოგადოებაში.

- ეროვნულმა მთავრობებმა **პრიორიტეტი** უნდა **მიანიჭონ ახალგაზრდების დასაქმების შესაძლებლობებს და ჩართულობით შრომით პოლიტიკას** ახალგაზრდების დასაქმების ეროვნული სამოქმედო გეგმის მიღებით, კერძო სექტორთან თანამშრომლობით და გეგმის შესასრულებლად თანხების გამოყოფით. გეგმა უნდა იყოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული, ახალგაზრდებთან თანამშრომლობით შემუშავებული, აღიარებდეს ახალგაზრდების მარგინალიზების პრევენციის საკითხში განათლების, დასაქმებისა და წვრთნის ურთიერთდაკავშირებულ როლს.
- ეროვნულმა მთავრობებმა და ადგილობრივმა ხელისუფლებებმა უნდა ითანამშრომლონ ახალგაზრდებისთვის სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობების შესაქმნელად როგორც **სოფლად, ასევე ქალაქში.** მათ უნდა **მოახდინონ ინვესტირება ახალგაზრდების შესაძლებლობების გაძლიერებაში** და აღჭურვონ ისინი შრომითი მოთხოვნების შესაბამისი უნარ-ჩვევებით, მშვიდობის კულტურის ხელშემწყობ ფორმატში შემუშავებული, რელევანტური საგანმანათლებლო შესაძლებლობების მეშვეობით.
- საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ეროვნულმა მთავრობებმა, დონორებმა და კერძო სექტორმა მხარი უნდა დაუჭირონ **ახალგაზრდების მიერ მართულ და მშვიდობის აღმშენებლობის ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, როგორც პარტნიორებს ახალგაზრდების**

დასაქმებაში და სამრეწველო პროგრამებში, რადგანაც ეს ორგანიზაციები წარმოადგენენ უნიკალურ შესაძლებლობას მარგინალიზებული ახალგაზრდების ჩართვისათვის.

- ადგილობრივმა ხელისუფლებებმა და ეროვნულმა მთავრობებმა უნდა **დააფინანსონ და განავითარონ პოლიტიკა, კანონები და პროგრამები ჯანმრთელობაზე,** ყველა ახალგაზრდას სასიცოცხლო ციკლისათვის. ეს ახალგაზრდების სოციალური და ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა .

ყოველივე ზემოთ აღნიშნული წარმოადგენს მშვიდობის აღმშენებლობაში ახალგაზრდების მონაწილეობის მხარდამჭერი ჩარჩო-დოკუმენტის ძირითადი მოთხოვნების ნაწილს. ამ მიზნით, ადგილობრივმა ხელისუფლებებმა, ეროვნულმა მთავრობებმა, დონორებმა, სამოქალაქო საზოგადოებამ და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა მიიღონ სასწრაფო ზომები ახალგაზრდების, როგორც კონფლიქტების თავიდან აცილებისა და ტრანსფორმირების, ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაპირისპირების და მშვიდობის აღმშენებლობის აქტორების მხარდასაჭერად, მოცემული დეკლარაციის სამოქმედო პუნქტების განხორციელებით.

ახალგაზრდები, რომლებიც ვესწრებით გლობალურ ფორუმს ახალგაზრდობაზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე, ვაცხადებთ მზადყოფნას ვიმუშაოთ ყველა დაინტერესებულ პირთან ერთად მშვიდობის აღმშენებლობისათვის მთელ მსოფლიოში. ჩვენ ვაცხადებთ მზადყოფნას გავუწიოთ მონიტორინგი მოცემული სამოქმედო პუნქტების შესრულებას.

გლობალური ფორუმი ახალგაზრდებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ჩატარდა ამანში, იორდანიაში, 2015 წლის 21-22 აგვისტოს. ფორუმმა შეკრიბა 400-ზე მეტი ახალგაზრდა - ახალგაზრდების მიერ მართული ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მთავრობებისა და გაეროს დაწესებულებების წარმომადგენლები და ექსპერტები.

ფორუმს უმასპინძლა იორდანიის ჰაშემიტურმა სახელმწიფომ, მისი უდიდებულოსობა პრინც ალ ჰუსეინ ბინ აბდულა მეორეს პატრონაჟით. ფორუმის თანაორგანიზატორები არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, წარმოდგენილი ახალგაზრდობის განვითარების სააგენტოთაშორისო ქსელის სახელით, ახალგაზრდობის საკითხებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წარმომადგენლის ოფისი, მშვიდობის აღმშენებლობის მხარდაჭერის ოფისი, გაეროს მოსახლეობის ფონდი, გაეროს განვითარების პროგრამა, “Search For the Common Ground” - თან (საერთო საფუძვლის ძიება”) და ახალგაზრდა მშვიდობისმყოფელთა გაერთიანებული ქსელის პარტნიორობით.